



# შირაკი

## SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან  
დადოვლისწყაროს პენიცილინების გაუთი

№9 (9.919)

4-11 აპრილი 2020 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა



# პ ი ნ ი პ ო პ ი ს წ ა მ ა ლ ს ?

პანდორას ყუთი გახსნილია. საშიში დაავადება, სახელად COVID-19 ყველას ემუქრება. საგონებელშია ჩავარდნილი მსოფლიო უამრავი დაინფიცირებული და გარდაცვლილი ადამიანი. საგანგაშო სტატისტიკა ყოველდღიურად კი არა, წამიერად იცვლება. მსოფლიო კორონავირუსის წამლის მოლოდინში. გედიკოსები ამბობენ, რომ წამალიც და ვაქცინაც ეძებენ მთელს რეპიში. ეს

ის მომენტია, როცა დრო ყველას წინააღმდეგ მუშაობს. ქვეყნებიც და მეცნიერებიც ერთგვარ მარათონში ჩაებნენ - ვინ იპოვებს წამალს? განსაკუთრებით ერთმანეთს ჩინეთისა და ამერიკის მეცნიერები ეჯიბრებიან. მაგრამ ამ ეტაპზე ყველას ნიდერლანდელმა მეცნიერმა აჯობა, რომელმაც განაცხადა, რომ ანტისეპული აღმოაჩინა. „რამდენადაც ჩვენთვის

არის ცნობილი, ეს ბაზლაში პირველი ანტისეპული, რომელიც ინფექციას ბლოკავს, მსგავსი აღმოჩენა ძალიან იშვიათია“, - განმარტავს ნიდერლანდელი მეცნიერი ბროსველდი. ახალ აღმოჩენაზე დაყრდნობით, შესაძლოა მედიკამენტის შექმნა, რომელიც კორონავირუსის ამჟამინდელი შტამით ინფიცირებული ადამიანების სამკურნალოდ გამოდგება. გროსველდის

აზრით, მისი შექმნა ვაქცინაზე სწრაფად შეიძლება, მაგრამ მანამდე რამდენიმე თვიანი ტესტირება საჭირო, თანაც პრეპარატის წარმოება ვაქცინაზე უფრო ძვირი იქნება. აშშ-ში კი გადაწყვიტეს, რომ კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის ახალი ფორმულის გამოყვანის დრო არ აქვთ,

/გაგრძელება გვ.4/

# მთავრობა საქართველოს მოქალაქეებს დაეხმარება

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, ყველას, ვინც თვის განმავლობაში მოიხმარს 200 კილოვანზე ნაკლებ ელექტროენერგიას და ასევე, 200 კუბურ მეტრზე ნაკლებ ბუნებრივ აირს, სამი თვის განმავლობაში - მარტში, აპრილსა და მაისში სრულად დაუფინანსებს გადასახადებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარია კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, დაფინანსება აგრეთვე მოიცავს დასუფთავებისა და წყლის გადასახადსაც.

„აქ შედის როგორც დასუფთავების, ასევე წყლის გადასახადიც. ეს დახმარება არის პირდაპირ მიმართული თითოეულ მოქალაქეზე, რომელიც ჩვენ მთავრობის ფარგლებში მივიღეთ და გვესმის, რომ ეს არ იქნება საკმარისი. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ თითოეული მოქალაქის იდენტიფიცირება, რომელმაც დაკარგა სამსახური და ამის შემდგომ ჩვენ გვექნება სპეციალური ღონისძიებები მათი პირდაპირი დახმარებისთვის“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## ვის აღარ მოუწავს კომუნალურების გადასახადი სამი თვით

ელექტროენერგიის საფასურს რაც შეეხება, დედაქალაქში 1 კვტ/სთ საფასური (დღგ-ს ჩათვლით), 101 კვტ/სთ-დან 301 კვტ/სთ-ის ჩათვლით, არის - 18.5555 თეთრი. შესაბამისად, გამოდის, რომ უხეში დათვლებით შედგავთ ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც თვის განმავლობაში ელექტროენერგიაზე მაქსიმუმ 37 ლარს იხდიან. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ამ შემთხვევაში კომუნალური გადასახადი სრულად დაუფინანსდება „თბილისი ენერჯის“ იმ აბონენტებს, რომლებიც თვის განმავლობაში მაქსიმუმ - 92 ლარს იხდიან.

რაც შეეხება რეგიონებს, „ენერჯო-პრო-ჯორჯიას“ აბონენტებს შედგავთ შეეხება იმ შემთხვევაში, თუ თვის განმავლობაში დენის გადასახადი მაქსიმუმ 36 ლარია, ხოლო „სოკარ-გაზის“ აბონენტები შედგავთ ისარგებლებენ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი აირის გადასახადი თვის განმავლობაში მაქსიმუმ 113-114 ლარს შეადგენს.

# სოციალურად დაუცველებს დაეხმარნენ

სიღარიბე-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შილაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც COVID-19-თან მიმართებაში მალალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, საკვები პროდუქტები გადასცეს.

სასურსათო კალათით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში დარიგდა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლებისგან საკვები პროდუქტების მარაგი მუნიციპალიტეტის მასშტაბით 1 350 ოჯახმა მიიღო.



# გიორგი გახარია - ეს არის ომი უხილავ მტერთან

აუცილებელია კიდევ უფრო მალალი ორგანიზებული, რადგან ეს არის ომი უხილავ მტერთან, რომელშიც არავის აქვს გამარჯვების შანსი სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და მოქალაქეების ერთიანობის გარეშე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარია განაცხადა. მისი განცხადებით, ძირითადი ამოცანაა, კორონავირუსის გავრცელების პროცესში ციკაბო პიკი არ იყოს

„ჩვენი ძირითადი ამოცანაა, კორონავირუსის გავრცელების პროცესში ციკაბო პიკი არ იყოს და მას გვერდი აუვაროთ, ჩვენ გვეჭირდება პლატო, ეს არის ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც ვმუშაობთ“, - განაცხადა გახარია.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ვირუსთან ბრძოლაში მთავრობის ძირითადი სტრატეგიული და ტაქტიკური ნაბიჯებია მალალი რანგის პროფესიონალების მაქსიმალური ჩართულობა და სწრაფი, ეფექტური და დროული მენეჯმენტი.

„ეს არის ძირითადი კონცეპტუალური მონახაზი, რომლითაც ბოლო 3 თვეა ვმუშაობდით და ამ გზით გავაგრძელებთ. დღეის მდგომარეობით გვაქვს 117 ინფიცირებული და 23 გამოჯანმრთლებული პირი, რაც მისასალმებელია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არანაირი საფუძველი, ვიყოთ მშვიდად და თვითკმაყოფილი. აუცილებელია კიდევ უფრო მალალი ორგანიზებული, ყურადღება და კონცენტრაცია, რადგან ეს არის ბრძოლა, ომი უხილავ მტერთან, რომელშიც არც ერთ მთავრობას, საქართველოზე უფრო ძლიერ სისტემურ ქვეყნებშიც, გამარჯვების შანსი არ აქვს, თუ არ გაერთიანდება, ყველა, სახელმწიფო, სამოქალაქო სექტორი, თითოეული მოქალაქე. გამონკვევა ბევრი ყოფილა, ამასაც დავანვივთ თავს, მთავარია რის ფასად და ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად ვიპოვოთ ბალანსი. უპირველესია ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რა ზიანს მივაყენებთ ეკონომიკას. უკვე შევიდვართ სწრაფი გავრცელების ეტაპზე და აქ ჩვენი ყურადღება კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს, ამიტომ გადავდგით იძულებითი ნაბიჯები ენ კომენდანტის საათიდან დაწყებული და დავანსეთ საკმაოდ მძიმე შეზღუდვები ჩვენი მოქალაქეებისთვის. ჩვენ ყველამ უნდა გავიმარჯვოთ ამ ბრძოლაში და ისე, რომ მინიმალური ზიანი მიაღწეს ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და რა თქმა უნდა, ეკონომიკას. მთავარი შედეგი იქნება ის, კრიზისიდან გამოსვლის პირველივე დღეს, როდესაც სამყარო შეიგრძნობს, რომ ეს ბრძოლა გადალახულია, როგორც სწრაფად შეძლებენ ეკონომიკები, აღიდგინონ ის პოზიციები, რომლებიც ჰქონდათ ამ კრიზისში შესვლამდე, საქართველოს შემთხვევაში საუბარია 2020 წლის დასაწყისის ეკონომიკურ პოზიციებზე“, - აღნიშნა პრემიერმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.

# მერია სავაჭრო ობიექტების კონტროლს ამკაცრებს



COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მოზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის, მისი მიმდებარე ტერიტორიისა და სხვა სავაჭრო ობიექტების კონტროლი ყოველდღიურად მკაცრდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ძალიან სტრუქტურულად და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან ერთად მთავრობის რეკომენდაციების მონიტორინგს სისტემატიურ რეჟიმში ახორციელებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მოგინოდებთ, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამოხვიდეთ სახლიდან!

# კახეთში ოთხი საკონტროლო-გამოწვები პუნქტი მოეწყო

თბილისის, ყვარლის, ახმეტისა და გურჯაანის მიმართულ გზებზე თელავში შემოსვლამდე ავტოტრანსპორტში, დადგენილი წესის შესაბამისად, მგზავრთა რაოდენობის კონტროლს პოლიცია, ხოლო მოქალაქეების თერმომოსკრინინგს სამხედრო ექიმები ახორციელებენ.

მთავრობისა და საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად და დადგენილი წესის მიხედვით, ოთხივე პუნქტზე მიმდინარეობს 24-საათიანი მონიტორინგი. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს საეჭვო სიმპტომები აღმოაჩნდება, სასწრაფო-სამედიცინო ჯგუფი გადაწყვეტს, მას სტაციონარში გადაიყვანს თუ თვითიზოლაციის რეკომენდაციას მისცემს.

„ოთხივე გზაპოლსტი - შუა-

მთასთან, ახმეტისთან, გურჯაანთან და ყვარლისთან შემოსვლამდე თელავთან იქნება სრულ მზადყოფნაში. არსებულ გზაპოლსტი-პოსტებზე მოხდება მოქალაქეთა თერმომოსკრინინგი. ეს არის დამატებითი სკრინინგი და არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ რამენაირად იზღუდება მოქალაქეების ან ავტოტრანსპორტის გადაადგილება დასაშვები დროის მონაკვეთში“, - განაცხადა კახეთის გუბერნატორმა.

ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, ოთხივე საკონტროლო გამწვები პუნქტზე მობილიზებულია ადგილობრივი დისლოკაციის სამხედრო ნაწილი და რეგიონის საპოლიციო ძალები. ტექნიკურ კომუნიკაციებს თელავის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.



# ს ა ქ ა რ თ მ ე ლ ო უ შ ი კ ა რ ა ნ ტ ი ნ ი ბ ა მ ო ც ხ ა ღ ღ ა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 31 მარტიდან საქართველოში დაგეგმიური შეზღუდვები დაწესდა. საგანგებო კარანტინის ფარგლებში, მოქმედ შეზღუდვებსა და დაშვებებთან დაკავშირებით, გთავაზობთ რეკომენდაციებს:

### რა შეზღუდვებია ავტომობილით გადაადგილება ნებადართული?

ნებადართულია მსუბუქი ავტომობილებით (მათ შორის ტაქსებით) მგზავრობა, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი, მათ შორის 2 უნდა იყოს უკანა სავარძელზე. ამასთან, სალამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე სრულად იკრძალება გადაადგილება, როგორც ქვეითად, ისე - სატრანსპორტო საშუალებით.

### როგორ შეიძლება განაწილო 3-ზე მეტი შვირისაან შემფარო ოჯახის ძალაძაროთ გაყვანა?

მსუბუქი ავტომობილით მხოლოდ 3 პირის მგზავრობაა დასაშვები. ეს შეზღუდვა ეხება ოჯახის წევრებსაც, მათ შორის - ბავშვებს.

### რა შეზღუდვებია ნებადართული საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრება?

3-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებისას. მათ შორის, სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული საქონლის/პროდუქტის რეალიზაციისას, ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ეს შეზღუდვა არ ეხება: სამედიცინო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებებში, თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში, სამართალდამცავ ორგანოებში პირთა თავშეყრას, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით; ასევე, სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას.

### როდის შეიძლება 70 წელზე მეტი ასაკის მოქალაქის სახლიდან გასვლა?

70 წელს ზემოთ მოქალაქეებს სახლიდან გასვლა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მიდიან სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული პროდუქტის შესაძენად. ასევე, ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელსაც სახლიდან გაუსვლელად ვერ მიიღებენ.

ეს შეზღუდვა არ ეხებათ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებს.

### თუ 70 წელს გადაცილებული მარტონილია?

იმ შემთხვევაში თუ, 70 წელს გადაცილებული მოქალაქეები არიან მარტონილები, მათ დაეხმარება ეკონომიკის სამინისტრო (საქართველოს ფოსტა) და ჯანდაცვის სამინისტრო, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეებმა უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე - 144.

### რას ნიშნავს სრული კარანტინი - 3.5 „კოვიდინის სათით“?

მთელი ქვეყნის მასშტაბით, სალამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე სრულად იკრძალება გადაადგილება, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით.

### როდის და ვისთვისაა აუცილებელი პირადი და გადასახლება ორგანოების ბარება?

ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ნების-

მიერ დროს გადაადგილებისას თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### იმ შემთხვევაში თუ არ გაქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი?

ასეთ შემთხვევაში იქონიეთ ნებისმიერი სხვა დოკუმენტი რომლითაც შესაძლებელია თქვენი პიროვნების იდენტიფიცირება. მაგალითად, მართვის მოწმობა.

### იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი დაარწმუნებულნი ხართ, როგორ უნდა იქნება მისი მშობელს ან ბავშვის სხვა კანონიერ წარმომადგენელს?

16 წლამდე ასაკის პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მის მშობელს ან ბავშვის სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

### კოვიდინის სათით დროს შეიძლება შინაური ცხოველის გასაღივება?

კომენდანტის საათის დროს აკრძალულია გადაადგილება.

### სალამოს 9 საათის შემდეგ იმუშავენ თუ არა სურსათის დაწესებულებები?

9 საათის შემდეგ იმუშავენ მხოლოდ აფთიაქი, რომლით სარგებლობა შეეძლება მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სალამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე გადაადგილების უფლება (მაგალითად პოლიციელები, ექიმები და სხვა პირები, რომლებსაც აქვთ გადაადგილების ნებართვა მათი საქმიანობიდან გამომდინარე).

### მაქვს ეკონომიკური საქმიანობის უფლება, თანამშრომლები სახსოვრო რეგორ ვაბარო?

თანამშრომლების ტრანსპორტირება სახლიდან და უკან უნდა უზრუნველყოთ თავად, მიკროავტობუსის, ავტობუსის მეშვეობით, რომლებზეც არ ვრცელდება 3 კაციანი შეზღუდვა. ტრანსპორტირების შესახებ თანხმობა უნდა აიღოთ მუნიციპალიტეტებიდან. აღნიშნული არ ეხება თანამშრომლების გადაყვანას მსუბუქი ავტომანქანებით, რაზეც ვრცელდება 3 კაციანი შეზღუდვა.

### ბაქისში ვარ, შეიძლება თუ არა განვაბარო საქმიანობა?

დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი - თქვენს გარდა, ორი ადამიანი უნდა მგზავრობდეს უკანა სავარძელზე. ამასთან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სალამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე სრულად იკრძალება გადაადგილება.

### ითვლება თუ არა გაყვანილი 3 კაციანი ვეზულები?

დიახ.

### მაქვს თუ არა ეკონომიკური საქმიანობის უფლება?

იზღუდება ყველა საქმიანობა, გარდა:

1.სამედიცინო დაწესებულების საქ-

მიანობისა;  
2. სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგა-

სით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებისა;  
14. საკვები პროდუქტის მიტანის მომსახურებისა (ე.წ. „დელივერი სერვისი“);  
15. კერძო დაცვითი საქმიანობისა;



ვი მასალების საცალო რეალიზაციისა, ასევე მათი წარმოების, შენახვის, საბითუმო ვაჭრობისა და დისტრიბუციის, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოებისა;

3. ნისქილების, პურ-ფუნთუშეულის საცხოვების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობისა;

4. ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოებისა/გადაცემისა/განაწილებისა/მიწოდებისა, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდებისა, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და წარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებისა;

5. კომერციული ბანკების საქმიანობისა;

6. იმ საგადახდო მომსახურების პროვიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობისა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კოსკების მეშვეობით;

7. საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობისა;

8.ბანკომატების, თვითმომსახურების კოსკებისა და პოსტრემინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობისა;

9. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისა;

10. საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებისა/რეალიზაციისა;

11. სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებისა/დისტრიბუციისა/რეალიზაციისა;

12. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

13. მსუბუქი ავტომობილით — ტაქ-

16. საადვოკატო საქმიანობისა;  
17. ავტოტექნომომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობისა;  
18. პრესის ჯიხურებისა.

ზამთარული მთის რეგიონების განვითარების განხორციელების მიზნით, საგანგებო მდგომარეობის დროს, ყველა ცვლილება ძველსა და ახლს შორის განსაზღვრულია მატსნე-სის საიტზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/search...>

ყველა ასეთი საგამონაკლისო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების მკაცრი დაცვით.

### ოჯახში საგადახდო ვარიანტის მოთხოვნა?

რა თქმა უნდა, არა.

### ვის უნდა ვუთხროთ თუ არა 3 კაციანი ვეზულები მიკროავტობუსებსა და ავტობუსებს?

მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია.

დაშვებულია იმ შემთხვევაში თუ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ნებადართული საქმიანობის განხორციელებული კომპანია თავად უზრუნველყოფს თანამშრომლების ტრანსპორტირებას სახლიდან და უკან, მიკროავტობუსის/ავტობუსის მეშვეობით. ამასთან, ასეთმა კომპანიებმა ტრანსპორტირების შესახებ თანხმობა უნდა აიღონ მუნიციპალიტეტებიდან.

### საქმიანობა შეჩერდება თუ არა საავტობო ვისთვისა და ლოგოსტისთვის?

დიახ, უჩერდება.



# მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია დამოკიდებულია თითოეული ჩვენი მოქალაქის პასუხისმგებლობაზე

კორონავირუსმა ყველა სხალმენი-ფოს ვეუტია. არც სახარტოვლო დარ-ჩა მწვანე ზონაში. რა მდგომარეობაა კორონავირუსის გავრცელების მხრივ დედოფლისწყაროში და როგორ უნდა მოიძებნენ ადამიანები, იმისთვის, რომ არსებული სიტუაცია შენარჩუნდეს მუ-ნიციპალიტეტში, ამის შესახებ დედო-ფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სა-ზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარ ეპიდემიოლოგს ლალი ალა-დაშვილს ვესაუბრავით:

**-ჩვენს გაზეთში „კვირ 19“-ის თაო-ბაზე არაერთი ინფორმაცია მივანოდეთ ჩვენს მკითხველს, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც მუნიციპალიტეტის მთავარმა ეპიდემიოლოგმა, კიდევ ერთხელ მოგვე-ცით განმარტება ამ ვირუსის შესახებ...**

-კორონავირუსით გამოწვეული და-ავადება (COVID-19) არის პოტენციუ-რად მძიმე, მწვავე რესპირატორული ინ-ფექცია, რომელსაც ინვესს მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონა-ვირუსი (SARS-CoV-2). იგი კლინიკურად ვლინდება რესპირატორული ინფექციის სიმპტომებით. დაავადება შეიძლება იყოს როგორც მსუბუქი, ჩვეულებრივი ვირუ-სული ინფექციის მსგავსი, ასევე, მძიმე ვირუსული პნემონია, რომელიც მწვა-ვე რესპირატორულ დისტრესსინდრომს იწვევს და პოტენციურად ფატალურია.

**-როგორც ეპიდემიოლოგმა, უახლესი მომავლის როგორი პროგნოზი შეიძლება წარმოგვიდგინოთ, დაახლოებით მაინც თუ შეგიძლიათ მონახაზის გაკეთება...**

-შემდგომში როგორ განვითარდება მდგომარეობა, ამის პროგნოზი რთულია. როგორც ეპიდემიოლოგმა, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეტაპამდე თითოეული ჩვენი ნაბიჯი ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის მითითე-ბების გათვალისწინებით, დედოფლის-წყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და პოლიციის თანადგომით, იყო ძალიან დროული და ეფექტური. ახლა, ამ რთულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში საუკე-თესოდ მუშაობს მედპერსონალი, რაც ძალიან საიმედო და დასაფასებელია, მაგრამ შემდგომში, მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია დამოკი-დებულია თითოეული ჩვენი მოქალაქის ქმედებებზე. თუ მოქალაქეები დაარლ-ვევენ მითითებულ რეკომენდაციებს, სი-

ტუაციაც, შესაბამისად გართულდება.

**-რა შეგიძლიათ გვითხრათ „ბცჟ“ (ტუ-ბერკულოზის) და ნითელას აცრების ამ ვი-რუსთან ეფექტიანი დაცვითი მექანიზმის თაობაზე, ან რამდენად ამართლებს ათუ-ლი წლების წინ ჩატარებული აცრები?**

-კი, არსებობს მოსაზრება „ბცჟ“ და ნითელას აცრების ამ ვირუსთან მიმარ-თებაში დამცველობითი ფუნქციის თაო-ბაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა და ამას სჭირდება კვლევა და დადასტუ-რება. ნითელას ვაქცინასთან მიმართება-ში განხილვა ეს აზრი, რადგან ჩინეთში და-ავადებულთა შორის არ იყვნენ ბავშვები. იმ ასაკზე საუბარი, რომლებიც აცრი-ლები იყვნენ ნითელას სანინალმდეგო ვაქცინით. „ბცჟ“ ვაქცინა კი ადამიანის ორგანიზმის ბრძოლის უნარს აქტიუ-რებს არა მხოლოდ ტუბერკულოზის, არამედ სხვა ინფექციების მიმართაც. საგარეოდ, ინვესს იმუნიტეტის გა-აქტიურებას. აღნიშნული ვარაუდი გან-და იქიდან, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც პრაქტიკულად ყველა აცრილი „ბცჟ“ ვაქცინით, დაავადება დღეის მდ-გომარეობით მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუ-დია.

**-რა ინფორმაციას ფლობთ „ცხელების ცენტრების“ შექმნის თაობაზე და ხომ არ იგეგმება იგი ჩვენთანაც?**

-„ცხელების ცენტრი“-ის შექმნა არ იგეგმება ჩვენთან. სპეციალური ცენტრე-ბი, პრობითად „ცხელების ცენტრი“-ის სახელწოდებით საქართველოს მამტაბით 25 ლოკაციაზე მოეწყობა, სადაც დატრე-ნინგებული ექიმები გაუწევენ პირველად კონსულტაციას იმ პაციენტებს, რომელ-თაც რაიმე სახის, საეჭვო სიმპტომები ექნებათ. თავდაპირველად გამოკითხვა მოხდება ტელეფონით სპეციალურად შედგენილი კითხვების საშუალებით, შემ-დეგ კი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რამ-დენად რეალურია ის სიმპტომები კორო-ნავირუსთან მიმართებაში და რამდენად ესაჭიროება პაციენტს ჰოსპიტალიზაცია. ამ ცენტრებში იქნება სპეციალურად და-ტრენინგებული და ეკიპირებული პერ-სონალი. სატელეფონო კომუნიკაციის დროს, მათ იციან რა კითხვები დაუსვან, რომ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ პაციენტისგან და გაატარონ დროული და ქმედითი გადანყვეტლებები.

**-რა რეკომენდაციებით მიმართავთ სა-ზოგადოებას?**

-გვთხოვთ, თითოეულმა მოქალაქემ გაითვალისწინოს ჯანდაცვის სამინის-ტროს რეკომენდაციები, ამაზე დამო-კიდებული ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. დარჩით სხალში! დანიზანთი სელები ხშირად! დანიზანთი დისტანცია!

ნათუნა აბლაძე, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღ-ვანელი-დედოფლისწყაროს მუნიციპა-ლიტეტის საავადმყოფო მუშაობას აგრ-ძელებს ჩვეულ რიტმში. „კომენდანტის საათის“ დროს ექიმებს შეზღუდვები არ გვეხება და ღამის საათებში გადაადგი-ლება მოხდება სპეციალური საშუალების მეშვეობით. რაც შეეხება ჩვენი მუშაო-ბის სპეციფიკას და მზადყოფნას „კვირ 19“ თან საბრძოლველად. როგორც წინა ნომრებშიც მოგახსენეთ, საპნადმყოფოს არ აქვს ინფექციური პათოლოგიის განყოფილება, თუმცა, გვაქვს დაყოფა-ზის (ზოქსირაზული) პალატა, სადაც 1 პა-ციენტის მიღვა შეგვიძლია. შეგვარა მს-გადაწყვეტა შესაბამისი პროტოკოლის გათვალისწინებით, სპეციალურ კლი-ნიკაში. ჯერჯერობით სიმშვიდე გვა-ქვს და რადიკალურ ცვლილებებს არც ველოდებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება ზედმინევენით იცა-ვს იმ რეკომენდაციებს, რომელიც წინა ნომრებშიც შემოგთავაზეთ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია დღის განმე-ლობაში არაერთხელ მოგვინოდებს-და-პრჩით სხალში, დანიზანთი სელები დისტანცია და პირადი პიგიენა!

**გარდა იმისა, რომ ახალი კორონავი-რუსი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყა-ნაში გავრცელდა და პირველი აპრილის მონაცემებით, 45 ათასამდე ადამიანი იმ-სხვერპლა, მან მსოფლიოს მოსახლეობას ქვეყის, ტრადიციების, ურთიერთობების ახალი ნესები შესთავაზა. სოციალური დისტანცია არა მხოლოდ რიგით, ყოფით, ყოველდღიურ ქვეყებზე აისახა, არამედ ისეთ ფუნდამენტურ და მნიშვნელოვან ღირებულებებზეც, როგორც, მაგალი-თად, მიცვალებულის დაკრძალვის რი-ტუალია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერ-**

თად, აიკრძალა სხვადასხვა სარიტუალო ღონისძიება. გაიცა რეკომენდაციები, მო-ქალაქეებმა თავი შეიკავეს ხალხმრავალი პანაშვილებისგან.

**რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს საავადმყოფო განსხვავდას აგრძელებს და მოქალაქეებს მოუწოდებს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სასაქონლო საბაზორონო კონსულტაციებით ისარგებლონ.**

თქვენივე უსაფრთხოების მიზნით დარჩით სხალში და საჭიროებისას განახორციელეთ შპს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ დედოფლის-წყაროს სამედიცინო დაწესებულების ექიმ საპეცილისტთან სატელეფონ-ო კონტაქტი.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენ-ტრი“ დედოფლისწყაროს კლინიკის ექიმი საპეცილისტაი:

1. ოჯახის ექიმი ნინო საყვა-რელიძე - 595 00 14 56;
2. ოჯახის ექიმი ქეთევან შან-შიაშვილი - 593 90 10 03;
3. ექიმი პედიატრი ლია ხუ-ციშვილი - 599 22 53 32;
4. ექიმი პედიატრი მანანა ზოსტაშვილი - 595 19 60 19;
5. ექიმი მეან-გინეკოლოგი გულნარა გონაშვილი - 599 90 98 44
6. ექიმი ოფთალმოლოგი მაია ტოკლიკიშვილი - 557 33 38 17
7. ექიმი ოტორალინგოლოგი დიმიტრი ყოჩიაშვილი - 599 57 71 96
8. ექიმი ენდოკრინოლოგი მაია ბეგიაშვილი - 593 45 25 03
9. ექიმი კარდიოლოგი ია უსე-ნაშვილი - 551 12 64 45
10. ექიმი კარდიოლოგი ეთერ დათუკიშვილი - 593 23 94 60

მასალა მოამზადა ილზა ხარაშვილმა

## „რამდენიმე წუთში უკვალოდ ძრება“ - მეცნიერებმა კორონავირუსის ახალი თვისებები აღმოაჩინეს!

ჩინელმა მეცნიერებმა კოვიდ-19-ის კვლევისას ვირუსის ახალი თვისებები აღმოაჩინეს. დადგინდა, რამდენი ხნის განმავლობაში ძლებს ვირუსი „უვნებლად“ და რა ტემპერა-ტურის შემთხვევაში ქრება უკვალოდ და ილუპება. კვლევა ჰონკონგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს.

კერძოდ, დადგინდა, რომ კორონავირუსისთვის იდეა-ლური ტემპერატურა +4 გრადუსია. რაც შეეხება ჩვეუ-ლებრივ ოთახის ტემპერატურას — დაახლოებით 18-25 გრადუსს, ამ პირობებში ვირუსი სიცოცხლისუნარიანო-ბას ერთი კვირის განმავლობაში ინარჩუნებს, შემდეგ მისი აქტივობა თანდათან კლებულობს და ორი კვირის თავზე ვირუსი უკვალოდ ქრება.

ვირუსის სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობის შემ-ცირება იმ ზედაპირის თერმული დამუშავებითაა შესაძლე-ბელი, რომელზეც ის იმყოფება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ +56 გრადუსის ტემპერატურის შემთხვევაში ვირუსი 30 წუთში ილუპება. ხოლო ტემპერატურა +70 გრადუსი მისთვის კრიტიკულია — ასეთ პირობებში კორონავირუსი 5 წუთში ქრება. საინტერესოა, რომ ასეთივე ეფექტი აქვს პოტენციურად კოვიდ-19-ის შემცველი საგნების ზედაპი-რების ქლორის შემცველი ნებისმიერი ხსნარით დამუშავე-ბას.

ჰონკონგის უნივერსიტეტის მეცნიერის, ალექს ჩინისა და მისი კოლეგების ამ კვლევამ დადასტურა, რომ ვირუსს სამედიცინო ნიღბების ზედაპირზე, ჩვეულებრივ პირობებ-ში, შეიძლება დღის განმავლობაში შეუძლია დარჩენა. შესაბა-მისად, მეცნიერები საზოგადოებას ნიღბების აუცილებელი თერმული დამუშავებისკენ მოუწოდებენ.

64 წლის მულტი მი-ლიარდერმა, რომელმაც 85 მლნ. გირანქა გაილო ვი-რუსთან საბრძოლველად, ღია წერილი, სახელწოდე-ბით „რას გვასწავლის ჩო-ვიდ-19 რეალურად?“ გა-მოაქვეყნა. გეითსის აზრით, ყველაფერს აქვს მიზეზი და ყველაფერი გარკვეული მიზნით ხდება მოუხედავად იმისა, ჩვენ ამ მოვლენას ვა-ფასებთ როგორც კარგს თუ როგორც ცუდს.

„მე მწამს, რომ ყველა-ფერი ხდება რაღაც მიზეზის გამო და მიმართა, რომ გა-მონაკლისი არც ეს პანდე-მიაა. ჩემი აზრით, ეს ვირუსი გვასწავლის ბევრ რამეს, ან გვასწავნის ისეთ რაღაცეებ-ს, რაც დავავიწყდა“, — წერს გეითსი.

რას გვასწავლის და გვასწავნის ჩოვიდ-19 რეა-ლურად:

- 1) გვასწავნის, რომ ყვე-ლა ჩვენგანი თანასწორია, მიუხედავად კანის ფერის, კულტურის, სოციალური სტატუსის და პროფესიისა. ვირუსი ყველას თანაბრად ექვევება, მას ნებისმიერი ადამიანის დაავადება შეუ-ძლია. თუ არ გჯერათ, შე-გიძლიათ ტონ ჰენკსს და

## ბილ გეითსის ღია წერილი

- 2) გვასწავნის, რომ ყველა ადამიანი დაკავში-რებულია სხვებთან და რა-ღაც, რაც მოქმედებს ერთ ადამიანზე, ძალიან ხშირად მოქმედებს სხვებზეც.
- 3) ვირუსი გვიჩვენებს, რომ საზღვრები საჭირო არ არის, რადგან მას მსო-ფლიოში გავრცელებლად პასპორტი არ სჭირდება.
- 4) გვასწავნის, როგორი ძვირფასია ჩვენი ჯანმრე-თელობა და როგორ ვა-ნადგურებთ მას ქიმიკატე-ბით მონამულე საჭმლით და წყლით.
- 5) გვასწავნის, რომ ცხოვრება ხანმოკლეადა ყველაზე მნიშვნელოვანი ერთმანეთის დახმარებაა. განსაკუთრებით იმათი, ვინც მოხუცი ან სუსტია.
- 6) ჩვენი მიზანი ტუალე-ტის ქალაღის მარაგის შექმნა არ არის.
- 7) გვასწავნის, როგორი მატერიალისტური საზო-გადოება ვართ. ჩვენ მხო-ლოდ ახლა, გაჭირვებაში ვცინობიერებთ, რომ სი-ნამდვილეში მხოლოდ სა-კვები, წყალი და ნამლები გვჭირდება და არა ფუფუ-ნების საგნები, რომლებსაც ხშირად ზედმეტად ძვირ-

- 8) გვასწავნის, როგორი მნიშვნელოვანია ოჯახი და როგორ გვაკლდა ოჯახის ნეერებთან ურთიერთობა, რადგან ჩვენ დიდი ხანია შევწყვიტეთ ოჯახის წე-ვრებთან ისეთი ურთიერ-ობა, როგორიც წესით უნდა გვექონდეს.
- 9) გვასწავნის, რომ ჩვენი რეალური საქმე ჩვე-ნი სამსახური კი არ არისა, არამედ ის, რის გასაკე-თებლადაც დავიბადეთ. ჩვენი მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა სხვების დახმარება და სხ-ვეებზე ზრუნვაა.
- 10) გვასწავნის, რომ სა-კუთარი ეგო უკანა პლანზე უნდა გადავნიოთ. მნიშვნე-ლობა არა აქვს, როგორი დიდებულ ადამიანებად ვთვლით თავს, ვინ ვართ და რას მივაღნიეთ, ვირუსი მაინც შეიძლება დაგვემარ-თოს.
- 11) გვასწავნის, რომ ჩვენი თავისუფალი ნება ჩვენს ხელშია. ჩვენ გვა-ქვს არჩევანი. შეგიძლია ვითანამშრომლოთ, ერთ-მანეთს დავეხმაროთ ან ვიყოთ ეგოისტები და მხო-ლოდ საკუთარ ტყავზე ვიფიქროთ. სწორედ ასეთ

- 12) გვასწავნის, როგორი მნიშვნელოვანია ოჯახი და როგორ გვაკლდა ოჯახის ნეერებთან ურთიერთობა, რადგან ჩვენ დიდი ხანია შევწყვიტეთ ოჯახის წე-ვრებთან ისეთი ურთიერ-ობა, როგორიც წესით უნდა გვექონდეს.
- 13) გვასწავნის, რომ ჩვენი რეალური საქმე ჩვე-ნი სამსახური კი არ არისა, არამედ ის, რის გასაკე-თებლადაც დავიბადეთ. ჩვენი მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა სხვების დახმარება და სხ-ვეებზე ზრუნვაა.
- 14) გვასწავნის, რომ სა-კუთარი ეგო უკანა პლანზე უნდა გადავნიოთ. მნიშვნე-ლობა არა აქვს, როგორი დიდებულ ადამიანებად ვთვლით თავს, ვინ ვართ და რას მივაღნიეთ, ვირუსი მაინც შეიძლება დაგვემარ-თოს.
- 15) გვასწავნის, რომ ჩვენი თავისუფალი ნება ჩვენს ხელშია. ჩვენ გვა-ქვს არჩევანი. შეგიძლია ვითანამშრომლოთ, ერთ-მანეთს დავეხმაროთ ან ვიყოთ ეგოისტები და მხო-ლოდ საკუთარ ტყავზე ვიფიქროთ. სწორედ ასეთ

# როდის დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას — 4 შესაძლო სცენარი


კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი შეიძლება ერთი ან ორი წელი გაგრძელდეს, თუმცა ამასობაში ჩვენი პრე-პანდემიული ცხოვრების ელემენტებს თანდათან დავიბრუნებთ. ახალმა კორონავირუსმა მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში შეაჩერა ცხოვრება: დაიხურა ბიზნესები, აიკრძალა თავყრილობები, ადამიანები გარეთ აღარ გამოდიან. მას შემდეგ, რაც ეს რეჟიმი რეალობა გახდა, ყოველი დღე ერთი და იმავე კითხვით იწყება: როდის შევძლებთ, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდით? პასუხი მარტივია: როცა საზოგადოების საკმარის ნაწილს, სავარაუდოდ, 60-80%-ს ექნება იმუნიტეტი დაავადების წინააღმდეგ, რაც ადამიანიდან ადამიანზე გადაცემას შეაჩერებს. ეს ფინიშის წერტილია, თუმცა ზუსტად არავინ იცის, რამდენი ხანი დაგჭირდება ამ წერტილამდე მისაღწევად. საერთო იმუნიტეტის მისაღწევად ორი რეალისტური გზა არსებობს: პირველი ვაქცინის შემუშავებაა. მეორე კი - ვირუსის ფართოდ გავრცელება, რაც უამრავ ადამიანს შეინარავს, თუმცა დანარჩენებს იმუნიტეტს დაუტოვებს. იგულისხმება, რომ დაავადების გადატანის შემდეგ "გადარჩენილებს" კორონავირუსი მეორედ ვეღარ დაემართებათ და, შესაბამისად, სხვასაც ვეღარ გადასცემენ. პრობლემა ისაა, ზუსტად არ ვიცით, ტოვებს თუ არა იმუნიტეტს ეს დაავადება, ან თუ ტოვებს - რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს მისი მოქმედება. სამწუხაროდ, ეს ორივე სცენარი ერთი ან ორი წლის ხანგრძლივობისაა, თუმცა ამასობაში შეიძლება ჩვენი ნორმალური ცხოვრების ნაგლეჯები მაინც დავიბრუნოთ. მაგალითად, ზაფხულში კაფეში შესვლა შევძლოთ, მაგრამ ვერ დავესწროთ მუსიკალურ ფესტივალს, ვიართო ოფისებში, მაგრამ ვერ ვიართო ხალხმრავალ საპატიროებზე. ჯერჯერობით ქვეყნების დიდი ნაწილი მხოლოდ თვითიზოლაციის ტაქტიკის ამარა დარჩენილი, რომელიც საავადმყოფოებს გადაჭედვისგან იცავს, თუმცა ეს ეკონომიკურ მსხვერპლს და ყოველდღიურ ცხოვრებაზე უარის თქმას მოითხოვს. ეპიდემიოლოგებს წარმოადგენს არ აქვთ, როდის შეიძლება ცხოვრება ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდეს, თუმცა არსებობს რამდენიმე სავარაუდო სცენარი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ჯანდაცვის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, უსაფრთხოება ყოველთვის სახლში დარჩენასთან იქნება ასოცირებული. ნაადრევად თვითიზოლაციაზე უარის თქმა შეიძლება კატასტროფული შედეგი მოიტანოს. როგორ უნდა მივხვდეთ, როდის არის "ნაადრევი" ცხოვრების ჩვეულ რეჟიმზე დაბრუნება? საქმე ისაა, რომ ზუსტად არ ვიცით, თუმცა, სავარაუდოდ ვადა 8-დან 12 კვირამდეა.

**პირველი სცენარი: პრატიკულად არაფერი**  
უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტები, ამ სცენარს სარწმუნოდ არ მიიჩნევენ. მისი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მოულოდნელად კორონავირუსი არც ისეთი საშიში აღმოჩნდება, როგორც გვეგონა. ჰარვარდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ეპიდემიოლოგიის პროფესორი, უილიამ ჰანავე გვიხსნის: "თუ უცებ შევამჩნევთ, რომ ახალი ინფიცირებულები უფრო მსუბუქ ფორმებში ხდებიან ავად, ვიდრე წინა შემთხვევებში ვხვდავდით, გავაცნობიერებთ, რომ ნელ-ნელა იმუნიტეტი მუშავდება. ეს შედეგი, ცხადია, ფანტასტიკური იქნება, თუმცა, ამავე დროს, სპეციალისტებისთვის ძალიან დაბნეველი".

კიდევ ერთი სცენარი, რომელშიც ასე მოკლე ვადაში დავუბრუნდებით ცხოვრებას, სულაც არაა სასიხარულო: სოციალური დისტანცირების უგულვებლყოფა შემთხვევების სწრაფ მატებამდე მიგვიყვანს, შედეგად ჯანდაცვის სისტემა გადაიტვირთება და უამრავი ადამიანი დაიღუპება. ასეთი კატასტროფის შედეგად ადამიანების ნაწილი გამოჯანმრთელდება, რაც ფართო მოსახლეობას საერთო იმუნიტეტის გამომუშავებასთან დაახლოვებს. მომდევნო თვეებში დადგინდება, ტოვებს თუ არა კორონავირუსი იმუნიტეტს, რამაც შეიძლება თვითიზოლაციის რეკომენდაციაზეც იქონიოს გავლენა.

**მეორე სცენარი: 3-4 თვე**  
ამ შემთხვევაში ჩვენ ვირუსის შესახებ ისეთ ცნობებს შევიტყობთ, რომლებიც ჩვეული აქტივობების გასაგრძელებლად საჭირო თავდაჯერებას მოგვცემს. მაგალითად, გავიგებთ, რომ უკვე გვაქვს საერთო იმუნიტეტის ნიშნები იმ ადამიანების დახმარებით, რომელთაც მსუბუქად ან საერთოდ უსიმპტომოდ გადაიტანეს კორონავირუსი. ასეთი ცოდნის



დაგროვება უსიმპტომო და სიმპტომიანი ინფიცირებულების ფართომასშტაბიანი კვლევისაა შესაძლებელი. ამისთვის ორი ტიპის ტესტები დაგჭირდება: რომლებიც არსებულ ვირუსს აფიქსირებენ და რომლებიც ვირუსის გადატანის შედეგად გამომუშავებულ ანტისხეულებს "იჭერენ". ამ ახალი ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, როგორც ჰანავე ამბობს, შესაძლებელი იქნება, რომ თვითიზოლაციაში მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ან ასაკოვანი ადამიანები დარჩნენ, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდეს. შეიძლება ბარებმა და კაფეებმა მაგიდების რაოდენობა შეამცირონ და ისე გააგრძელონ ფუნქციონირება.

**მეორე სცენარი: ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესორი ამბობს, რომ დაავადების გავრცელების მასშტაბს სამი ცვლადი განსაზღვრავს: „რამდენ ადამიანს ხვდება საშუალო-სტატისტიკური ადამიანი“, „რამდენია იმის შანსი, რომ ამ შეხვედრებიდან მას ვირუსი გადაეღოს (იგულისხმება როგორც პირისპირ კონტაქტი, ასევე საერთო ზედაპირთან შეხება)“, და „დაავადებულების პროპორციული წილი პოტენციურ კონტაქტებს შორის“.** უფრო მასშტაბური და უკეთ დამიზნებული ტესტირება ვირუსის ქცევის შესახებ ცხადს უზრუნველყოფს. შეიძლება ეპიდემიოლოგებმა ერთ ცვლადზე კონცენტრირება არჩიონ: მაგალითად, თუ მონაცემები გვაჩვენებს, რომ პოტენციური კონტაქტების შეზღუდვა ყველაზე ეფექტური გზაა, მაშინ რესტრინები და პატარა ბიზნესები ისევ შეიძლება გაიხსნას, თუმცა ხალხმრავალი ღონისძიებები აღარ გაიმართება. „ახლა რადიკალურ ზომებს ვიღებთ, რადგან ზუსტად არ ვიცით, ამ ზომებიდან რომელი მუშაობს, შეიძლება მომავალში ამ სტრატეგიის შერბილება შევძლოთ“, - აცხადებს მაიკლ სტოტო.

გარდა ამისა, სამ-ოთხ თვეში მკვლევრებმა შეიძლება ადევნებულნი მკურნალობა მოუძებნონ COVID-19-ს: არა ნამალო, არამედ მეთოდების ერთობლიობა, რომლითაც სიმპტომების მოხსნა და ფატალური შემთხვევების პრევენციაა შესაძლებელი. ეს სოციალური დისტანციის აუცილებლობას შეამცირებდა. მართალია, ფართომასშტაბიანი "აფეთქებები" ისევ დაფიქსირდებოდა, მაგრამ სწრაფი განკურნების შედეგად საავადმყოფოები მალ-მალე შეძლებდნენ პაციენტების განკურნებას.

ეს ვერსია დიდად არ განსხვავდება

პირველი ვერსიისგან, რომელშიც ვირუსს "დაუჯერებელი" ფაქტორები აჩერებს, თუმცა დაზუსტებით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

**მესამე სცენარი: 4-12 თვე**  
ჩვენი 19-თან დაკავშირებით ერთი პასუხაუცემელი კითხვა არსებობს: გრიპის მსგავსად, შენელება თუ არა მისი გავრცელება ზაფხულის მოსვლასთან ერთად. მაღალი ტემპერატურა და ულტრაიისფერი

რი სხივები ვირუსების ერთი ნაწილისათვის მტრულ გარემოს ქმნის, გარდა ამისა, სკოლები არ ფუნქციონირებს, რაც ვირუსებს გასამრავლებელ პლატფორმებს უკლავს. ჯერჯერობით უცნობია, შეგვიძლია თუ არა ამ ფაქტორების კორონავირუსისათვის მისადაგება. ექსპერტების აზრით, მომდევნო ორ-სამ თვეში გავიგებთ, არის თუ არა ჩვენი COVID-19 სეზონური დაავადება. აქ ეს სცენარი ორად იყოფა: ერთ სამყაროში ვირუსი ზაფხულში უკან იხევს, მეორე სამყაროში - არ იხევს. ორივე შემთხვევაში სოციალური დისტანციის გარკვეული ზომები შეიძლება 2021 წლის ბოლომდე შენარჩუნდეს. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ნოიმერი ამბობს, რომ პირველ შემთხვევაში ზაფხული ბევრად უფრო სახალისო იქნება, ვიდრე გაზაფხული. პატარა ჯგუფებით სადმე გასვლა პრობლემები არ შექმნის. ბარები და რესტორნები ისევ გაიხსნება, თუმცა მუსიკალურ ფესტივალზე ოცნებას უნდა დავემშვიდობოთ. შეიძლება სპორტული შეხვედრები ჩატარდეს, თუმცა აუდიტორიის გარეშე, მაღაზიები კი ლიმიტს დაანუსხვენ, რამდენი ადამიანი შეიძლება იყოს ერთდროულად საჯარო სივრცეში. "თეორიულად, შეიძლება მოგზაურობაც უსაფრთხოდ გახდეს", - ამბობს ჰანავე, - "როგორც კი ვირუსი ყველგან იქნება მოდებული და აეროპორტში თუ უზნის მაღაზიაში დაინფიცირების რისკი ერთმანეთს გაუტოლდება, მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება. ცხადია, აეროპორტებს ზომების მიღება მოუწევთ, რომ ერთ სივრცეში ბევრ ადამიანს არ მოუწიოს ყოფნა".

**მეტი სცენარები ნორმალური ზაფხულის ერთი მიწის იხსნა, რომ კორონავირუსი რამდენიმე თვეში ისევ შეიძლება დაბრუნდეს. ამ შემთხვევაში სექტემბერში ან ოქტომბერში ისევ მოგვიწევს სოციალური დისტანციის დაცვა. ამ დროისთვის შეიძლება ბევრ ადამიანს უკვე შეეძლოს იმუნიტეტი და მათთვის გარეთ გასვლა საფრთხის შემცველი აღარ იქნება. თუ შემოდგომისთვის შევიტყობთ, რომ ბავშვები მთავარი გამავრცელებლები არ არიან, შეიძლება სკოლები ისევ გაიხსნას. ზაფხული კარგი დრო იქნება იმისთვის, რომ ქვეყნებმა სასუნთქი აპარატები, ნიღბები და ხელთათმანები აწარმოონ ან მოიპარაგონ. ჯანდაცვის სისტემა ზაფხულს მოსამზადებლად გამოიყენებს.**

მეორე, პარალელურ სამყაროში კი ზაფხულში შესვენება არ გველის. წესით, ამ დროისთვის პიკი გადავლილი იქნება, მაგრამ თბილ თვეებში ვირუსის თავიდან

"ამოხეტქვის" რისკი მაინც დარჩება. თუ შემთხვევების რაოდენობა შუა ივნისში მკვეთრად არ დაიკლებს, დაზუსტებით შეგვეძლება იმის თქმა, რომ კორონავირუსი სეზონური არაა. ამ შემთხვევაში სოციალური დისტანციის რეკომენდაციები შექმნილ სიტუაციას მოურგება. მაგალითად, თუ გვეცოდინება, რომ საავადმყოფოების გადატვირთვის რისკი არ არსებობს, ზომები შეიძლება შერბილდეს.

შეიძლება უფრო ხშირად ვიმუშავოთ ოფისებიდან და ახლობლების ნახვაც შევძლოთ, მაგრამ ჩვენი ცხოვრება კვლავ სავსე იქნება საპრობლემო და ხელის სადემონსტრაციო სითხით. ადამიანები, რომელთაც სახლიდან შეუძლიათ მუშაობა, ისევ სახლიდან იმუშავებენ და კაფეში გასვლის ნაცვლად საჭმელს ადგილზე შეუკვთავენ.

შემოდგომა ქაოსს მოიტანს, იმის მიუხედავად, არის თუ არა ვირუსი სეზონური. საარჩევნო უბნები პოტენციურად ვირუსების გავრცელების კერაა. ამ დროისთვის გრიპიც დაბრუნდება და ტეტის გარეშე რთული იქნება იმის გარჩევა, ვის აქვს კორონავირუსი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ის კატასტროფები, რაც ყოველწლიურად ხდება ზაფხულში, ისევ მოხდება (მაგალითად, ხანძრები ან ქარიშხლები ამერიკის შემთხვევაში).

**მეოთხე სცენარი: 12-18 თვე ან მეტი**  
ზემოთ აღწერილი ყველა სცენარის პარალელურად (მატჩები მაყურებლების გარეშე, ერთმანეთთან დამორბეული მაგიდები რესტორნებში და ასე შემდეგ) იგულისხმება, რომ მეცნიერები ვაქცინის შემუშავებაზე მუშაობენ. საუკეთესო შემთხვევაში ვაქცინა 2021 წლის გაზაფხულზე იქნება ხელმისაწვდომი.

"ერთი წელი რეალური ვადაა, თუ ვაქცინა პირველივე ჯერზე იდეალური იქნება", - ამბობს ნოიმერი, - "თუ ვაქცინას დახვეწა დასჭირდება, მაშინ ეს მეტ დროს მოითხოვს, კიდევ ექვს თვეს, ან ერთ წელს".

ვაქცინების შექმნა ასეთი შრომატევადი პროცესი იმიტომაცაა, რომ მათი დახვეწა საკმაოდ რთულია. საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ ვაქცინა ჯანმრთელ ადამიანს არ დააზიანებს, რომ აცრის შემდეგ სწორი ანტისხეულები გამომუშავდება და ეს ანტისხეულები ნამდვილად შეაჩერებენ კორონავირუსს. ეს პროცესი ბიუროკრატიული ნორმების გამო არ იწვევს. მეცნიერებმა უნდა შეიმუშაონ ვაქცინა, რომელიც ასობით მილიონი ან რამდენიმე მილიარდი ადამიანის სხეულში მოხვდება. აქ შეცდომის უფლება არ გვაქვს. თუ ვაქცინა "ზუსტი" იქნება, ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდება, ოღონდ - მაშინვე არა. დაახლოებით 350 მილიონი ადამიანის აცრა ლოჯისტიური გამოწვევაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ერთდროულად ვერ მივა ასაცრელად. ვინ მიიღებს ვაქცინის პირველ დოზას? რისკჯგუფებში შემავალი ადამიანები? ექიმები?

შესაძლებელია ისიც, რომ უსაფრთხო და ეფექტიანი ვაქცინის შექმნა ვერ შევძლოთ. ცხადია, ეს გულდასაწყვეტი იქნება, თუმცა 2021 წლის შემოდგომისთვის ქვეყნები, სავარაუდოდ, კოლექტიურ იმუნიტეტს მიიღწევენ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაქცინას ვერ შევქმნივთ, კოლექტიური იმუნიტეტი იმის გარანტია იქნება, რომ COVID-19-ის მომავალი ამოფრქვევები აშკარად სიკვდილს აღარ გამოიწვევს. ვირუსი კვლავ გააგრძელებს ცირკულირებას, როგორც გრიპი ან ცაცინა, მაგრამ ნაკლებად დაზიანებს ჯანდაცვის სისტემას. ეს იდეალური შედეგი არაა, მაგრამ ამ დროისთვის ცხოვრება ნორმალურ რიტმს დაუბრუნდება, თუმცა, ამავე დროს - აღარასდროს იქნება ისეთი, როგორც იყო.

მასალა მოამზადა  
სათუნა ბენაშვილმა



# 9 აპრილი - საქართველოს თავისუფლების სიმბოლო

„2 550 ჯარისკაცი, 6 ჯავახან-ტრანსპორტიორი, დესანტის 8 საბრძოლო მანქანა, 4 სახანძრო მანქანა და 2 სანიტარული ავტომობილი 10000-კაციანი გვრილო-გინანი დამონსტრაციის წინააღმდეგ. 1989 წლის 9 აპრილს, ღამის 4 საათზე, საჭმლათა კავშირის ჯარამ მსუთვად აირის, ორალური ნივთებისა და ციციკლსაროლი იარაღის გამოყენებით დაარბია თბილისი, რუსთაველის გაზირზე მიმდინარე გვრილო-გინანი საპროტესტო აქცია.“

ძალიან ძნელია წერო ისეთ რამეზე, რასთან შეხება არ გეკონია და მხოლოდ წარმოდგენა თუ შეგიძლია მისი. ძალიან ძნელია, როდესაც ასეთი მოვლენა შენი ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესია და შენ მასზე მხოლოდ გადმოცემით და ისტორიის სახელმძღვანელოდან იცი. დიას, ძალიან ძნელია წერა მოვლენაზე, როცა მას არ შესწრებიხარ და საკუთარი ემოციაც არ გაგაჩნია, მაგრამ განცდების გაცოცხლება შეუძლებელი სულაც არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ყველას გვყავს ოჯახში მინიმუმ ერთი წერილი მაინც, რომელიც იმ მნიშვნელოვან, მაგრამ ტრაგიკულ მოვლენებს შეესწრო და დღეს ჩვენთვის ცოცხალი მემკვიდრეები არიან. დღესაც, როდესაც ეს თარიღი ახლოვდება, ვხვდებით, რომ ის, შევსწრებივართ თუ არა მას, მაინც ძალიან ახლოვდება ნებისმიერი ჩვენგანისთვის.

ხანდახან, საერთო სურათი რომ დაინახო, მოვლენას გვერდიდანაც უნდა შეხედო. ეს საერთო სურათი კი ძალიან მძიმე იყო, მაშინაც და ახლაც. 31 წლის შემდეგაც კი ჩვენთვის 9 აპრილი ორ მნიშვნელოვან თარიღთან ასოცირდება: 1989 წლის ტრაგედიასთან და 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენასთან. თითქოს მეორე პირველის კომპენსაციაა, პირველი კი ის „ხარკია“, რომელსაც ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში იხდიდა თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისათვის ბევრჯერ დუმილით და ცრუ მორჩილებითაც. 1989 წლის 9 აპრილი ჩვენთვის ის მოუშუშებელი ფრილობაა, რომელიც მუდმივად ღია რჩება. ყველაფერთან ერთად კი ეს ბრძოლა დღესაც აქტიურია.

ჩვენ, ჩემი თაობა დამოუკიდებელ საპარტიოლოში დავიბადეთ. ჩვენ იმ თაობას ვეძებთ, ვისაც ფრაზები: სამშობლოსთვის ბრძოლა და მისთვის თავდადება შორეული გმირების საქმედ წარმოგვადგინა. ეს გხოლოდ და გხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ბრძოლა ყველაზე ნაკლებად გვიწევდა და, ალბათ, გვინდოვს. სწორედ მისაუბრია ჩემი მომავლის, მათი მომავლის თაობაზე და სწორადაც მომისმენია, რომ გაშინდელ საპარტიოლოში სულ სხვა განწყობა და ეროვნული სულისკვეთება იყო. სულ ვფიქრობდი, რას ნიშნავს ეს? ჩემი აზრით, ეს ის 10000 ადამიანი, ის 21 დაღუპულია, რომლებიც უბრალოდ იბრძოდნენ. იბრძოდნენ ბოლომდე. ჩემი გადმო-

სახელიდან ეს ბრძოლის სურვილია, ბრძოლა ცვლილებებისთვის, უკეთეს მომავლისა და ფიხზე მყარად დადგომისთვის. ის ეროვნული სულიკვეთება, რაც იმ 10000 ადამიანში 31 წლის წინ იყო, ალბათ, ძნელად თუ განემორღვება კიდეც. ალბათ, უნდა იცხოვრო, გამოცდა-ლო, რომ მათ გაუგო. როდესაც ინტერნეტში, სპიიბო სისტემაში, „9 აპრილს“ კარვ და იმ ადამიანების მოგონებას კითხულობ, ეგონებოდა რად ხვდები, რომ შედარებით კარგდროს დაიბადე. თითქოს ეს ყველაფერი იმდენად შორს და იმდენად

რების მხრიდან კრიმინალური აქტი კი არ იყო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, აქციის დამრბევებს „არავის მოკვლის განზრახვა არ ჰქონიათ“ კი არა, ადამიანები პანიკური გაქცევისას კი არ დაილუნენ ასფიქსიის შედეგად, არამედ ეს იყო ბოროტების იმპერიის ძალმომრეობა იმ ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ, რომელიც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლასა და 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდა. ნასვლა და დამოუკიდებლად ცხოვრება. ერთი შეხედვით, რა მარტივად უღერს არა? ყველაზე მშვიდობიანი აქციის მშვი-

ღარ ღუმბაძის ნაფიქრალს გეტყვით: „სამშობლო ისეთი უსაშველო ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე, როგორც დედას, და დედასავით მარადიულია. გამოდის, რომ სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის, თავად კი არასოდეს არ კვდება, უკვდავია. მაინც რა არის სამშობლო? იქნებ რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია, როგორც უფალი, სამშობლო ერთი ქვეყანაზედა! მაშ, იმხელა ლექსი რაღად დანერა? ეს ორი სტრიქონი დასკვნაა მხოლოდ თუ ფორმულა? ან იქნებ აკაკის განთიადია



ნადვი ახლოსაა, რომ ვერანაირად წარმოგიდგინა, შენს თაობაში რომ მსგავსი რამ მოხდარიყო, შენს ძველსა რომ ასეთი ხალხი დასჭირებოდა, მსგავსი ემოციური მუხტი, ძველსთვის ასეთი თავდადება, დღესაც შენსაა იმდენად? არ ვიცი. წარმოგებინა ძნელია, რადგან თითქოს ჩვენთვის უკვე იბრძოლეს. თითქოს ჩვენ კიდეც ერთხელ გვითხრეს, რომ აი, ესაა ბრძოლის ის გზა, როდესაც ყველაზე გვრილო-გინანად ითხოვ იმას, რაც გაუშინეს და ყველაზე გორგოული და სასტიკი გზებით გეუბნებიან არას.

ალბათ, ზემოთ მოყვანილი ციფრები მხოლოდ ფაქტები იქნებოდა, მშრალი სტატისტიკა, რომ არა ის ადამიანები, რომლებიც იქ იყვნენ და რომლებმაც საკუთარი მოგონებებით, გადმოცემით, რეალური ქმედებით დაგვანახეს, რას ნიშნავს სამშობლოს უპირობო სიყვარული. ეს ყველაფერი კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ გაყალბებული ისტორიით არ გვინდევს ცხოვრება. ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ 9 აპრილის აქცია მისი ორგანიზატო-

ლობიანი მოთხოვნა მშვიდობიანი გზით, რომელიც დარბევით დასრულდა.

ყველაფერში კი მთავარი ის არის, რომ იმ დღის შემდეგ დაბადებულები და მომავალი თაობები, იმ დღის ღირსები ვიყოთ. მთავარია, ღირსეულად ვატაროთ, ან თუ შევძლებთ ღირსეულად გავაგრძელოთ ის გზა, რომელიც მაშინ 10,000-მა ადამიანმა საერთო სურვილით, თავისუფლებისკენ უსაზღვრო სწრაფით და ერთმანეთის გვერდში დგომით გაიარა. ერთიანობა - აი, რა უნდა შეგვეძლოს. ალბათ, ის, რაც დღეს ყველაზე მეტად გვაკლია. 9 აპრილზე, ისეთ ეპოქაში, როდესაც პატრიოტიზმი და ეროვნული სულისკვეთება უკვე გაცვეთილი ფრაზები და კლიშეებია? სულ რამდენიმე სიტყვას - თავდადებას! ერთიანობას! ღირსეულებს შორის ღირსეულ მაგალითს, რომელსაც არ უნდა ვივინყებდეთ და ყოველდღე უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვის იბრძოლეს. დასასრულს კი, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ქართველი მწერლის ნო-

სამშობლო? ან ვაჟას სიმღერაა — სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრი, მკვდარსაც კი გაეცილება! ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის გალობანი სინანული-სანი არის, დემეტრე მეფის შენ ხარ ვენახია, პაატა სააკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და ვეფხისტყაოსანია... იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვარდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მალღარია — ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს. რაც მე მახსოვს და ვიცი, სამშობლო უფრო მეტად გაჭირდება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული. კიდევ რა არის სამშობლო? თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება — ეს არის სამშობლო.

კიდევ?

შუშუნა ყანგაშვილი

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 6.04 დღე	სამშაბათი 7.04 ღამე	ოთხშაბათი 8.04 დღე	ხუთშაბათი 9.04 ღამე	პარასკევი 10.04 დღე	შაბათი 11.04 ღამე	კვირა 12.04 დღე			
11°	9°	4°	2°	7°	2°	8°	4°	10°	4°
9°	4°	2°	8°	4°	10°	4°	9°	2°	8°
5°									

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანგაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭქაძე (დისტრიბუტორი).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.